საბა

N5 (317) I 2022

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA

უკრაინა, ქ. დნეპრი

ვილოცოთ მშვიდობისთვის!

„ომები აღარასოდეს!“..... 3

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 4

კულტურის კომისიის სამომავლო გეგმები..... 6

ეპარქიათაშორისი უმაღლესი სასულიერო სემინარია „მარიამი - დედა ეკლესიისა“..... 7

სულიერი ვარჯიშები წეროვანში 8

ჯორდან პიტერსონი - „ცხოვრების 12 წესი: ქაოსის ანტიდოტი“..... 9

„ბავშვები ბავშვებისათვის“ 10

ფატიმის წმიდა სამების ეკლესია .....I-IV

ტკბილი პური სან დამიანოდან 11

ნობელის პრემიის დამფუძნებლის, ალფრედ ნობელის შოკისმომგვრელი ისტორია და მისი გზა ღმერთამდე 12

შვიდასი წლისთავი დანტე ალიგიერის დაბადებიდან 14

შეზღუდული შესაძლებლობების დაძლევა შესაძლებელია საზოგადოებაში ინკლუზიის კულტურის განვითარების მეშვეობით..... 16

მე და ღმერთი..... 18

ინფორმაცია 19

მაისი

1 მაისი - პასექის III კვირადღე, უდის „ქვედა ეკლესიის“ საკრებულოს დღეობა

3 მაისი - წმ. ფილიპე და წმ. იაკობ მოციქულების დღესასწაული

8 მაისი - პასექის IV, კეთილი მწყემსის კვირადღე, ლოცვა მღვდლობისაკენ მოწოდებულთათვის; კამილიელ დ. მარია ნიკოლოზის გახსენება (+ 2005)

11 მაისი - მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)

13 მაისი - ფატიმის ქალწული მარიამის დღე

14 მაისი - წმ. მატათა მოციქულის დღესასწაული; წმ. მარია დომენიკა მაცარელო, სალელ დედათა დამაარსებელი, მოხსენიება

24 მაისი - მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)

26 მაისი - ამაღლება (ან კვირადღეს, 29 მაისს)

31 მაისი - მარიამის მონახულება

2022 წლის 7-8 ივნისს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში გაიმართება მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი: ,,კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“, რომლის მიზანია კათოლიკური მემკვიდრეობის, ქართული კულტურისა და ცნობიერების ჩამოყალიბებაში რომის კათოლიკე ეკლესიის მნიშვნელობის გაანალიზება; სიმპოზიუმი მიეძღვნება წმიდა საყდრისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილეს;

სიმპოზიუმის ორგანიზატორია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიასთან არსებული კულტურისა და ეკლესიათაშორისი ურთიერთობების კომისია და წმიდა საყდრის საელჩო საქართველოში.

დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით ელფოსტაზე:
conference@sabauni.edu.ge

„ომები აღარასოდეს!“

ორ მილიარდზე მეტი ადამიანი, ანუ დაახლოებით კაცობრიობის მეოთხედი, ომით დაზარალებულ რაიონში ცხოვრობს, - აღნიშნა ამას წინათ გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერესმა. ამასთანავე, ყოველდღიურად იზრდება ადამიანური, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, და დავამატებდი, რელიგიური ხარჯები. შეიძლება ითქვას, რომ ,,ომით გამოწვეული გლობალური ტკივილი უპრეცედენტო ზღვარს აღწევს“. ომის მემკვიდრეობა და სასტიკი უთანასწორობა განაპირობებს მთელ რიგ ანომალიურ კონფლიქტებს, რომელთა კლასიფიცირებას ტრადიციული კანონების საფუძველზე ვერ მოვახდენთ. ეს არის ცვალებადი ხასიათის ომები, რაშიც სულ უფრო ნაკლებად ერთვებიან ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნები, უფრო მეტად ომებში ებმებიან არაკონვენციური მოთამაშეები, როგორიცაა, მაგალითად, ტრანსნაციონალური მაფია, ნარკოტრეფიკინგის თუ ტერორისტული ქსელის საკონტროლოდ. შექმნილია ომის ბაზარი ე.წ. წარ მარკეტ, რომელიც შეჯიბრის პრინციპზეა აგებული. ეს მდგომარეობა ყველა დონეს მოიცავს, ბრძოლის ინტენსივობიდან გამომდინარე, შედეგებს კი უმეტესწილად სამოქალაქო პირები იმკიან.

და რას აკეთებენ კონფლიქტების მოსაგვარებლად სახელმწიფოები, პოლიტიკა, რელიგია? ცნობილია, რომ სახელმწიფოები რასაც თავდაცვაში ხარჯავენ, იმის მუხუთედ კაპიტალს აბანდებენ. ის, რაც აერთიანებს ომების კალეიდოსკოპს აფრიკიდან ამერიკამდე, შუა აღმოსავლეთიდან აზიამდე, არის კოლექტიური რეპრესიები. ეს კონფლიქტები ან სრულიად იგნორირებულია საინფორმაციო რუკიდან, ან ცნობილია, როგორც ,,დაარტყი-გაიქეცი“, მაგრამ რა შედეგები მოჰყვება ამას?

მიანმარსა და სამხრეთ სუდანში ჰუმანიტარული დახმარებების მიზნით გაეროს მიერ გაკეთებულმა მოწოდებებმა ძლივს მიაღწია მოთხოვნილი თანხის 8 %-ს, ხოლო უკრაინის კრიზისი, რომელიც ინფორმაციის სიჭარბით გამოირჩევა, ოცდაოთხ საათში 1,7 მილიარდი დოლარით დაფინანსდა. არადა, შეიძლება უკრაინაც კი ჩრდილში მოექცეს, თუკი კონფლიქტი გახანგრძლივდება ან, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება ომისშემდგომ აღდგენით ეტაპზე გადავიდეს. მხოლოდ ომები როდია უხილავი. სამშვიდობო გზებიც კი ხშირად ბუნდოვანი და უგულებელყოფილია. სწორედ ასე ხდება ამ მძიმე პერიოდში იემენში, ტიგრაში... როდესაც ომის მიერ კაცობრიობისადმი მიყენებულ ,,ღრმა ჭრილობებზე“ ვფიქრობთ, ვხვდებით, რომ მშვიდობის მისაღწევად საჭიროა ,,სრული, დაუღალავი ერთგულება...“ და განათლება, რათა ,,აღმოიფხვრას ომისადმი ნდობა და მოიძებნოს კონფლიქტის მშვიდობიანი გამოსავალი“, საქმიანობა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის წარმომადგენლებს და რაც პასუხობს ,,მთელი მსოფლიოს მოლოდინს, მეტიც, ისტორიის იმპერატივს: ,,ომები აღარასოდეს!“ ასე წერდა იოანე პავლე მეორე, როდესაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდს მოიგონებდა, რომელიც თავად განიცადა. დღეს, როდესაც მესამე მსოფლიო ომზე საუბრობენ ,,ნაწილ-ნაწილ“, რაც არაერთხელ გაიხსენა ჩვენმა პაპმა ფრანცისკემ, საჭიროა განვაცხადოთ: ,,ომები აღარასოდეს!“

რუსუდან ავალიშვილი





უწმიდესი ფრანცისკეს სამოციქულო მოგზაურობა მალტაზე

2-3 აპრილს გაიმართა უწმიდესი პაპის სამოციქულო ვიზიტი კუნძულ მალტაზე. ვალეტას აეროპორტში გამართული მისასალმებელი ცერემენიის შემდეგ პონტიფექსი მალტის ორენის სასახლეში ქვეყნის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და დიპლომატიურ კორპუსს შეხვდა. სამოციქულო ნუნციატურაში გამართული სადილისა და ხანმოკლე დასვენების შემდეგ ფრანცისკე კუნძულ გოცოზე გაემართა, სადაც ღმრთისმშობლის მიძინების ტა პინუს ბაზილიკაში ლოცვა აღავლინა. 3 აპრილს, ქალაქ ფლორიანაში, მალტის ყველაზე დიდ მოედანზე უწმიდესმა ფრანცისკემ წირვა აღავლინა. ღმრთისმსახურებას ოცი ათასი მორწმუნე დაესწრო, მათ შორის მრავლად იყვნენ სხვა ქრისტიანული აღმსარებლობების წარმომადგენლებიც. პაპის ქადაგება ცოდვილი ქალის შენდობის სახარებისეულ ეპიზოდს მიეძღვნა. „ფარისევლებსა და მწიგნობრებში მუდამ ამოვიცნობთ მათ, ვინც თავისი ღვთისმოსაობით, გულკეთილობითა და პატიოსნებით ამაყობს. მათ სხვა ადამიანთა ცოდვების მხილება უყვართ, საკუთარ მანკიერებებს კი ვერ ხედავენ. დავფიქრდეთ, როგორ ვუყურებთ მოყვასს: როგორც იესო, ანუ გულმოწყალებით და სიყვარულით? თუ როგორც მამხილებლები?“ - აღნიშნა თავის ქადაგებაში უწმიდესმა პაპმა.

ფრანცისკეს სამოციქულო მოგზაურობის ბოლო პუნქტი იყო „იოანე XXIII-ის სახელობის მშვიდობის სახელოსნო“, სადაც იგი ლტოლვილებს შეხვდა. პაპი ლტოლვილთა მიმღები ცენტრის ბენეფიციარებს ესაუბრა და მათი ისტორიები მოისმინა. „ციფრებს კი არ უნდა შევხედოთ, არამედ ადამიანთა სახეებს, მათი ისტორიები უნდა მოვისმინოთ. აქ მოსმენილი მოწმობები ათასობით უკრაინელი, აზიელი, აფრიკელი თუ ამერიკელი ლტოლვილის ისტორიებს გვაგონებს. მათი იარების განკურნებას დრო, კაცთმოყვარეობა და სიკეთე სჭირდება. მათ სჭირდებათ ადამიანები, რომლებიც მოუსმენენ, გაუგებენ და მხარში ამოუდგებიან. ჩვენი დამოკიდებულება ამ ადამიანთა მიმართ ცხადყოფს, რამდენად ერთგულნი ვართ ქრისტეს სახარებისა“, - აღნიშნა თავის მიმართვაში უწმიდესმა ფრანცისკემ.

ნინევიაში ისევ გაისმა ქრისტიანული საგალობლები და ლოცვები

ანტიოქიისა და სირიის კათოლიკე პატრიარქი ეგნატე იოსებ III იონანი: „აქ სიყვარულმა და იმედმა დაგვაბრუნა. ჩვენ ქრისტეს რწმენაში დარჩენა, მშვიდობიანი და ღირსეული ცხოვრება გვსურს. დღეს იერუსალიმში იესოს საზეიმო შესვლას ვიგონებთ. აქ ქვებიც კი უგალობენ უფალს ,,ოსანას“. ომამდე ნინევიის დაბლობზე მილიონნახევარი ქრისტიანი ცხოვრობდა. ომმა ბევრი მათგანის სიცოცხლე შეიწირა, უმრავლესობა კი იძულებული იყო, სახლ-კარი დაეტოვებინა და უსაფრთხო ადგილი ეძებნა. ახლა ერაყის ლტოლვილი ქრისტიანები თავიანთ სახლებს თუ ნასახლარებს უბრუნდებიან. 10 აპრილს, ბზობას, ქარაქოშის ქუჩებში კვლავ გაიმართა საზეიმო მსვლელობა, კვლავ გაისმა „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“. „ის-

ლამური სახელმწიფოს“ წევრები სიკვდილით გვემუქრებოდნენ, ამიტომ ქვეყანა უნდა დაგვეტოვებინა. მე გერმანიაში დავსახლდი. ვოცნებობდი, რომ ოდესმე მშობლიურ მიწაზე დავბრუნდებოდი, ყველაფერი მენატრებოდა, განსაკუთრებით კი აი ასეთი სადღესასწაულო დღეები. ეს დღე იმედით გვავსებს და გვჯერა, რომ ოდესმე ჩემს საყვარელ ქარაქოშში და მთელ ერაყში სრული მშვიდობა დამყარდება“, - აღნიშნა სამშობლოში დაბრუნებულმა კათოლიკე ლტოლვილმა საბა იაკუბმა.

პაპის წარგზავნილმა უკრაინაში ძმათა საფლავზე ილოცა

„ვნების პარასკევს კარდინალი კონრად კრაევსკი რუსეთის ჯარისგან გათავისუფლებულ ქალაქ ბუჩას ეწვია. „სამოციქულო დესპანთან ერთად კიევში ვბრუნდებოდით. ძალიან ბევრი მოკლული ადამიანი ვნახეთ. გზად კიდევ ერთი სამარხი შეგვხვდა. როგორც გვითხრეს, აქ ოთხმოცზე მეტი ადამიანია დამარხული. არც სახელები, არც გვარები... ცრემლი გაგვიშრა, სიტყვებიც არ გვყოფნის“, - თქვა კარდინალმა Catholic News Agency-ს კორესპონდენტთან საუბრისას.

თანადგომა და მომლოცველობა: რელიგიურ ლიდერთა ვიზიტი უკრაინაში

10-16 აპრილს მცირე ძმების ფრანცისკელთა ორდენის წევრებმა და მათმა მეთაურმა, მასიმო ფუზარელიმ უკრაინაში იმოგზაურეს. კათოლიკე ეკლესიის ორდენის წევრები შეუერთდნენ მსოფლიოს რელიგიურ ლიდერთა მომლოცველობას, რომელიც იერუსალიმის ელიას სახელობის კონფესიათაშორისი ინსტიტუტის თაოსნობით გაიმართა. თავისი ვიზიტით უკრაინელი ხალხის თანადგომა გამოხატეს კენტერბერის მთავარეპისკოპოსმა როუენ უილიამსმა, ბრიტანელმა რაბინმა ჯონათან უიტენბერგმა, ბოსნიის ყოფილმა უზენაესმა მუფთიმ მუსტაფა ცერიჩმა, იტალიის მთავარმა იმამმა იაჰია პალავიჩინიმ და სხვა რელიგიურმა ლიდერებმა. „უკრაინა ჩვენი სინდისის ქენჯნაა, ამიტომ ვერ დავდუმდებით, გულგრილები ვერ დავრჩებით კაენის ძალადობისა და აბელის ყვირილის მიმართ. მტკიცედ უნდა მოვითხოვოთ: ღვთის სახელით, შეწყდეს ეს შემზარავი ქმედებები“, - აღნიშნა უწმიდესმა პაპმა თავის ეპისტოლეში სოლიდარობის დელეგაციის მონაწილეთა მიმართ.

რომი. ვატიკანი. საადღგომო წმ. წირვა

კულტურის კომისიის სამომავლო გეგმები

საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის კვლევა, კულტურისა და ეკლესიათაშორისი ურთიერთობების შესწავლა, ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. სწორედ ამ სფეროს განვითარებისა და ხელშეწყობისათვის, ოციოდე წლის წინ, მეუფე ჯუზეპეს გადაწყვეტილებით, კურიასთან შეიქმნა კულტურისა და ეკლესიათაშორისი ურთიერთობების (ეკუმენიზმის) კომისია, რომელსაც დაფუძნების პირველი დღიდან ხელმძღვანელობს მამა გაბრიელე ბრაგანტინი. კომისიაში გაერთიანებული არიან საქართველოში მოქმედი კათოლიკური ინსტიტუტების წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები, სასულიერი და სამოქალაქო პირები. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კულტურის კომისიამ ამ ოციოდე წლის განმავლობაში მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება შეძლო უხმაუროდ, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ, ამავე დროს, მეთოდურად, წინასწარი დაგეგმვით, ღონისძიებისათვის საჭირო მინიმუმი თანხების მოძიებით და, ცხადია, კომისიის წევრებისა და მოხალისეთა უანგარო თანადგომით, ვინაიდან მათთვის ეკლესიისათვის გაწეული მცირედი საზღაური ერთგვარი მსახურება და შინაგანი მოწოდებაა.

ამ მცირე ინფორმაციაში შეუძლებელია სრულად ჩამოვთვალოთ კულტურის კომისიის მიერ შესრულებული საქმეები, მაგრამ ბოლო წლებში განხორციელებულ რამდენიმე ძირითად აქტივობას მაინც გამოვყოფთ. სწორედ კულტურის კომისიის ინიციატივითა და ორგანიზებით ტარდება საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის შესწავლისა და კვლევისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის აქტივობა. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ღონისძიება, რომელმაც საკმაოდ ფართო გამოხმაურება პოვა, 2018 წელს ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმი იყო. ამ სამეცნიერო ფორუმმა იმდენი მხარდამჭერი მოიპოვა, რომ უკვე ტრადიციული სახე მიიღო და მასში საქართველოში კათოლიკობის მკვლევარი ყველა გამორჩეული მეცნიერი დიდი სიხარულით იღებს მონაწილეობას. სიმპოზიუმზე წარმოდგენილი შერჩეული მასალები ბეჭდური სახით გამოიცემა და მონაწილეებსა და უმთავრეს ბიბლიოთეკებს ურიგდება, რაც დღეისთვის უკვე დიდ იშვიათობას წარმოადგენს. აღნიშნულმა სამეცნიერო ფორუმებმა მრავალ ახალგაზრდა მეცნიერს გაუხსნა გზა და სტიმული მისცა კათოლიკური მემკვიდრეობის საფუძვლიანი კვლევისათვის.

კულტურის კომისიის საქმიანობის ერთ-ერთი გამორჩეული ნაყოფია ქრისტიანობისათვის წამებული დემეტრე თბილელის პოპულარიზაცია და მისი მოწამეობიდან 700 წლისთავის აღნიშვნა ფრანცისკელთა ორდენთან ერთად. გასულ წელს, კულტურის კომისიის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით, ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნა უდიდესი ქართველი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 150 წლისთავი. ამ თვეებში ჩატარდა კულტურის კომისიის რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, შეჯამდა გასული წლის საქმიანობა და დაისახა 2022 წლის სამუშაო გეგმა.

წელს სრულდება 30 წელი საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან. კულტურის კომისია ამ მნიშვნელოვან თარიღს უძღვნის საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმს, რომელიც 7-8 ივნისს ჩატარდება სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში. ასევე, წელს სრულდება 160 წელი სტამბოლში აბატ პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ ქართველ კათოლიკეთა სავანის დაფუძნებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით, კულტურის კომისია, სტამბოლის სავანის მეურვეებთან, თურქეთში ცნობილ მრეწველებთან და ქველმოქმედ ზაზაძეების ოჯახთან, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტთან და საქართველოს კათოლიკურ სამრევლოებთან ერთად, გეგმავს საინტერესო ღონისძიებათა ციკლს, რომელსაც სულ მალე გაეცნობა ჩვენი ჟურნალის მუდმივი მკითხველი. ასევე, გაგრძელდება გასულ წელს დაწყებული სასიკეთო ტრადიცია - შეხვედრები კათოლიკურ საკრებულოებში. წელს ეს შეხვედრები სისტემატურ სახეს მიიღებს, ვინაიდან სახელმწიფომ გააუქმა ეპიდვითარებასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ჟურნალ ,,საბას“ მეშვეობით კი საშუალება გექნებათ, თვალი მიადევნოთ კულტურისა და ეკლესიათაშორისი ურთიერთობების კომისიის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებს.

ეპარქიათაშორისი უმაღლესი სასულიერო სემინარია ,,მარიამი - დედა ეკლესიისა“

მსურს, გიამბოთ სემინარიისა და სემინარისტების ცხოვრების შესახებ. ყაზახეთის სემინარიაში დღესდღეობით სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, როგორც საქართველოდან, ასევე რუსეთიდან, უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან. ყოველი ჩვენგანი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება მენტალიტეტითა და ხასიათით, მაგრამ ვცდილობთ, ვისწავლოთ ერთმანეთთან თანაცხოვრება. მთავარი, რაც გვაერთიანებს, არის ქრისტე, რადგან აქ ჩამოვედით ჩვენი სამღვდელო მოწოდების გასაღრმავებლად და ფორმაციის გასავლელად. ერთად ვლოცულობთ, ვსწავლობთ სხვადასხვა საგანს, ფილოსოფიას, თეოლოგიას, დღეში ხუთი ლექცია გვაქვს. სემინარიის დღის წესრიგი ასეთია: დილის 6 საათზე იწყება მედიტაცია ღვთის სიტყვის შესახებ და აღევლინება წმიდა წირვა, რის შემდეგაც მივდივართ სასაუზმოდ. საუზმის შემდგომ ლექციები გრძელდება სადილამდე. კვირაში ორჯერ გვაქვს გარეთ გასვლის საშუალება, სხვა შემთხვევაში სადილის შემდეგ არის შუადღის ჟამი, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალურ მეცადინეობას ჩვენს პირად სივრცეში ანუ ოთახში. ზოგი ემზადება მეორე დღის ლექციებისთვის, ზოგი კითხულობს ფილოსოფიურ ან თეოლოგიურ ლიტერატურას, ზოგიც რაიმე თემაზე მუშაობს. საღამოს ექვს საათზე მწუხრის ლოცვებია. ვახშმის შემდეგ კი ორი საათით მოგვეწოდება ინტერნეტი და გვეძლევა შესაძლებლობა, დავურეკოთ მშობლებს, ჩვენთვის ძვირფას ადამიანებს, ან კიდევ უბრალოდ რომელიმე სოციალური ქსელით ვისარგებლოთ. ცხრა საათზე იწყება თაყვანისცემა და დილამდე გრძელდება ,,SILENCIUM“-ი. შემდგომ დგება სასულიერო ლიტერატურის კითხვის დრო თერთმეტის ნახევრამდე. გვაქვს ასევე თავისუფალი დრო, როდესაც შეგვიძლია შევიკრიბოთ და ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი განცდები, ვიცინოთ, ვიკამათოთ და ვიხალისოთ. ვცდილობთ, ერთი ოჯახივით ვიცხოვროთ, ეს ზოგჯერ ძნელია, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესო, რადგან ვიზრდებით როგორც ინტელექტუალურად, ასევე სულიერად.

შესაძლოა, ასეთი განრიგი ვინმეს ძალიან რთული ეჩვენოს. თავდაპირველად, როდესაც სემინარიაში შევედი, მეც ასეთი რეაქცია მქონდა, ვფიქრობდი, რომ საშინელი განრიგია, ამინდიც საშინელი, -20-30 გრადუსი ყინვა. ვიფიქრე, რომ აქ ვერ გავძლებდი და სჯობდა ისევ საქართველოში დავბრუნებულიყავი. მახსოვს, ერთმა მღვდელმა მითხრა, ბავშვივით კი არ უნდა შეუშინდე სიძნელეებს და გაიქცე, არამედ, პირიქით, უნდა გაუმკლავდე ყოველივესო. ამან დამაფიქრა, გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი და მესინჯა, გამომეცადა საკუთარი თავი. ახლა უკვე მეორე კურსზე ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ აქამდე მოსვლა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ ვგრძნობდი სემინარიის აღმზრდელთა და კურსელთა თანადგომას, ასევე მამხნევებდნენ სასულიერო პირები და მრევლი საქართველოდან, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ ფორმაცია სემინარიაში ეხმარება ყველას ნამდვილი მოწოდების აღმოჩენაში, ეს კი ყველაზე მთავარია.

ალექსანდრა მარგველაშვილი

სულიერი ვარჯიშები წეროვანში

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის სხვადასხვა საკრებულოს წარმომადგენლები 25 მარტს, ხარების დღესასწაულისთვის აღვლენილი წირვის შემდეგ, შევიკრიბეთ წეროვანში. ჩასვლისთანავე, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ მოგვიწვია ეკლესიაში განსაკუთრებული ლოცვისთვის - პაპმა ფრანცისკემ რუსეთი და უკრაინა მარიამის უმანკო გულს მიუძღვნა, მიძღვნის აქტში მონაწილეობა მიიღეს მთელი მსოფლიოს კათოლიკეებმა.

ზუსტად 20.00 საათზე ჩვენც შევუერთდით რაბათის წმიდა სავარდის ტაძრიდან კაპუცინი ბერებისა და ბენედიქტელი მონაზვნების მიერ ერთობლივად აღვლენილ ,,სავარდის" ლოცვას. სწორედ ეს ლოცვა ჩვენი სულიერი ვარჯიშების პირველ ნაბიჯად იქცა.

„კაცი, სათნო გულისა თვისისა" (1 მეფ. 13,14), დავით მეფის ფიგურა და ჩვენ" - ასეთი თემა იყო შემოთავაზებული ჩვენი ეპისკოპოსის, ჯუზეპე პაზოტოს მიერ სულიერი ვარჯიშების მონაწილეთათვის. ვინ იყო დავითი? - უბრალო მწყემსი, ქნარზე დამკვრელი, უფლისთვის სასურველი (მისი სახელი „საყვარელს" ნიშნავს), ღმერთს მინდობილი, ცხებული, მეფსალმუნე... მაგრამ, იმავდროულად, იგი სასტიკ ცოდვას სჩადის, ეს არის სახე ცოდვილი ადამიანისა, რომელსაც ეძლევა შესაძლებლობა, ღმერთს დაუბრუნდეს. ერთადერთი გამოსავალია გულწრფელი სინანული: დავითი აცნობიერებს თავის დანაშაულს, გულს უხსნის ღმერთს და შეწყალებას სთხოვს.

ექვსი მედიტაცია, მამა ჯუზეპეს განმარტებანი, დუმილის საათები, ერთად აღვლენილი ლოცვები, „ჯვრის გზა", რომლის დროსაც, მეუფის თხოვნით, თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი ლოცვა წარმოთქვა - ეს იყო საოცარი გამოცდილება ერთობის, სიყვარულისა და სულიერი აღზრდის, სულიერი საკვები, რომელიც ესოდენ გვჭირდება დღეს... დრომ მალე გაირბინა და ყველას სურვილი იყო - კიდევ შევკრებილიყავით!

მადლობა ჩვენს მასპინძლებს, სოფოსა და იოსებს! მადლობა მეუფე ჯუზეპეს, ჩვენზე მზრუნველ სულიერ მამას! მადლობა უფალს, რომელმაც გვიბოძა ეს შეხვედრა!

ჯორდან პიტერსონი - ,,ცხოვრების 12 წესი: ქაოსის ანტიდოტი“

„თითოეულმა ჩვენგანმა ყველა დანარჩენის ცხოვრების, საზოგადოებისა და მსოფლიოსთვის რაც შეიძლება მეტი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს. სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ, არეული მოვაწესრიგოთ, ყველაფერი, რაც მოძველებული და დრომოჭმულია, დავანგრიოთ, სანაცვლოდ ახალი ავაშენოთ“ (ჯ. პიტერსონი).

როცა წიგნის მაღაზიაში შევდივართ, აუცილებლად გაგვექცევა თვალი იმ წიგნებისკენ, რომელთა სათაური ძალზე მიმზიდველია, სწრაფად იწვევს ჩვენში ემოციას. აი, მაგალითად, „როგორ გავხდე მილიონერი“ ანდა „იაზროვნე მარტივად, წარმეტების წესები“... და ბევრია სხვა. გვიჩნდება მათი წაკითხვის სურვილი: იქნებ მართლა გავხდე მილიონერი? იქნებ ჩემს პრობლემებს ბოლო მოეღოს? ნამდვილად, ეს ის წიგნია, რომელიც ასე მჭირდება!

ხშირად ვხვდები ახალგაზრდებს, რომლებიც მსგავს ლიტერატურას კითხულობენ, რა თქმა უნდა, ხვდებიან, რომ წიგნი მხოლოდ საშუალებაა, რომელიც გაძლევს ბიძგს, დანარჩენი კი შენი გასაკეთებელია, *„იმისთვის, რომ მილიონერი გახდე, სულ მცირე, ლატარიის ბილეთი მაინც უნდა იყიდო“.*

ერთ მშვენიერ დღეს მეც მიმიზიდა წიგნის სათაურმა, რომელიც ძალიან უბრალოა, თუმცა პროვოკაციული, იმ ქაოსში, რომელშიც დღეს ვიმყოფებით, ვის არ მოუნდება ანტიდოტის მოძიება? ვის არ მოუნდება, ყოველდღიური ქაოსიდან თავის დაძვრენის გზა იპოვოს? რა თქმა უნდა, როცა ქაოსის ანტიდოტი სულ რაღაც 12 წესია, შეუძლებელია, არ იყიდო წიგნი და მთელი გულისყურით არ ჩაიკითხო, იქნებ მართლა გადასხვაფერდეს ის ქაოსი, რომელიც ხანდახან რუხი ფერებითაა გადატვირთული. მხოლოდ ერთი პრობლემა რჩება, „წესი“ ხომ ის სიტყვაა, რომლის გაგონებაზეც თითქოს თავს უცნაურად ვგრძნობთ, თითქოს ვიღაც შორიახლოს ჩვენს თავისუფლებას ალყაში აქცევს, ჩვენ კი თავისუფლების დაცვისთვის საომარ მოქმედებაზე გადასასვლელად ვემზადებით.

პიტერსონის „ცხოვრების 12 წესი: ქაოსის ანტიდოტი“ პირველად 2018 წელს გმოიცა კანადაში, საქართველოში 2021 წელს ითარგმნა, გამოიცა და დღემდე საპატიო ადგილს იკავებს ბესტსელერი წიგნების რიგში. ავტორის, მისი ცხოვრების, მისი თეორების შესახებ აზრი ორადაა გაყოფილი, ზოგს მოსწონს კანადელი კლინიკური ფსიქოლოგიის სპეციალისტის თეორიები, ზოგისთვის კი, უბრალოდ, მიუღებელია მისი იდეები. ზოგი ქრისტიანად მიიჩნევს მას, ზოგიერთისთვის ის პოპულისტია, რომელიც ფარად იყენებს ქრისტიანულ პრინციპებს.

წიგნი 12 წესისგან შედგება, ყველა წესი თავისებურია, თითქოს პირდაპირი კავშირი არ აქვთ ერთმანეთთან, მაგრამ ერთის გარეშე მეორის დაცვა შეუძლებელია. საინტერესო კი ისაა, რომ წესები სათავეს იღებენ ბიბლიური ისტორიებიდან, უძველესი მითებიდან და ლეგენდებიდან, გამოტანილი დასკვნებიდან და პირადი ცხოვრებისეული მაგალითებიდან. გასაოცარია ის ფაქტი, რომ ყველა წესს კავშირი აქვს წმიდა წერილთან, ყველაფერი ედემის ბაღიდან იწყება, ზუსტად იმ პირველი წესიდან, რომელიც ღმერთმა მისცა ადამიანს და გრძელდება ქრისტეს ახალი წესების გამოცხადებამდე.

რატომაა საინტერესო ეს წიგნი ჩემთვის? ალბათ იმიტომ, რომ იგი ასახავს ცხოვრების რეალობას, ცდილობს, გვიჩვენოს ის გზები, რომელიც დაგვეხმარება ამ რეალობასთან ურთიერთობაში. დღეს, ისე როგორც არასდროს, ჩვენ წინაშე უამრავი გამოწვევა, ცდუნებაა, და ახალგაზრდები მუდამ იბრძვიან სწორი არჩევანის გასაკეთებლად, ზრდასრულებს კი იმაზე უწევთ ფიქრი, როგორ შეცვალონ ის მძიმე რეალობა, რომელიც მათ ცხოვრებას ამძიმებს, როგორ შეცვალონ ის რუტინა, რაც მათ ყოფას ხანდახან ძალზე აუტანელს ხდის. წიგნის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების წესების ჩარჩოში მოქცევა, პირიქით, ის გვასწავლის თავისუფლების იმ ძირეულ მნიშვნელობას, რაც ადამიანის ცხოვრებას აზრს შესძენს და მიმართულებას აჩვენებს, ცდილობს დაგვეხმაროს ქაოსიდან თავის დაღწევაში ისე, რომ თავად ქაოსიც კი ჩვენს სასიკეთოდ გამოვიყენოთ.

დღეს ყველაზე დიდ სირთულეს ადამიანური ურთიერთობები წარმოადგენს, შემიძლია ვთქვა, ესაა ის მთავარი ცუნამი, საიდანაც მოედინება სხვა დანარჩენი პატარა ნაკადული, თითოეულ ჩვენგანს ამ მიმართულებით აქვს სამუშაო, ეს წიგნი კი კარგი გზამკვლევია ამ გზასავალზე.

„სულაც არ არის საჭირო, რომ ადამიანის ყველა ნაკლი შეიყვაროთ. მთავარია, ისინი უბრალოდ მიიღოთ. არ უნდა შეწყვიტოთ უკეთესობისაკენ ცხოვრების წარმართვის მცდელობა“ (ჯ. პიტერსონი).

ვფიქრობ, უკვე გაინტერესებს ქაოსის 12 წესიანი ანტიდოტი, მაშ, ეცადე, გულისყურით წაიკითხო.

„ბავშვები ბავშვებისათვის“

მიუსაფარ ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასის“ ინიციატივით, საგამოფენო სივრცეში „ჰერმით სფეისი (Hermit Space)“ გაიმართა საქართველოს კარიტასის ბავშვებისა და მათი მეგობრების ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების გამოფენა-გაყიდვა, სახელწოდებით „ბავშვები ბავშვებისათვის“. შეგროვებული თანხა სრულიად გადაირიცხება ომით დაზარალებული უკრაინელი ბავშვების მხარდასაჭერად.

გამოფენა-გაყიდვა, რომელიც 20 აპრილამდე გაგრძელდება, გაიმართება ყოველდღე 14:00-დან 18:00 საათამდე.

ღონისძიების პირველ დღეს გამოვლინდა საუკეთესო ნამუშევრის სამი ავტორიც, რომელთაც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ვაუჩერები გადაეცათ.

აქციის მიზანი უკრაინელი ბავშვების თანადგომა, მათი ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა და ჩაგვრისგან დაცვაა.

ფატიმის უწმიდესი სამების ეკლესია

ას წელზე მეტი გავიდა იმ სასწაულებრივი დილიდან, როდესაც 1917 წლის 13 მაისს სამმა ბავშვმა, 10 წლის ლუსია დე იესოს დოს სანტოსმა, 9 წლის ფრანციშკუ მარტომ და 7 წლის ჟასინტა მარტომ განაცხადეს, რომ კოვა და ირიაში, ფატიმის გარეუბანში, პორტუგალიაში, ხის კენწეროზე იხილეს ღვთისმშობელი, ,,მზეზე უფრო ბრწყინვალე ქალბატონი". იმ ზაფხულს თვალისმომჭრელი გამოცხადება რამდენჯერმე განმეორდა, ხოლო 13 ოქტომბერს კოვა და ირიაში შეიკრიბა დაახლოებით ორმოცდაათი ათასი ადამიანი, რომელთა უმრავლესობა ადასტურებდა, რომ იხილეს ე.წ. „მზის სასწაული", რაც ღვთისმშობელმა ამ სამ პატარას აღუთქვა.

30-იან წლებში სწორედ ამ ადგილზე აიგო სავარდის დედუფლის ბაზილიკა, ნეობაროკოს სტილში, ადრე იქ დიდი მოედანი იყო, გარშემორტყმული 200 სვეტისგან შემდგარი კოლონადით, რასაც, თავის მხრივ, გარს ერტყა მკვრივმერქნიანი ხეები. მთავარი შესასვლელის ზემოთ აღმართულია 65 მეტრზე მაღალი სამრეკლო. გამოცხადების სამლოცველოში დგას ღვთისმშობლის ხის ქანდაკება, რომელიც 1920 წელს ლუსიას მითითებით გამოიკვეთა პორტუგალიელი მხატვრის ჟოზე ფერეირა თედიმის მიერ.

ახალი ეკლესიის პროექტი

მას შემდეგ არასდროს შეწყვეტილა მომლოცველთა ნაკადი, ის სულ უფრო მეტად იზრდებოდა, მალე მათთვის ძალიან მცირე აღმოჩნდა ბაზილიკა, ხოლო მის წინ მდებარე უშენი ადგილი - უფრო მეტად ხალხმრავალი; გამოითვალეს, რომ საშუალოდ ყოველწლიურად მომლოცველთა რაოდენობა მთელი მსოფლიოდან დაახლოებით 5 მილიონს აღწევს. მნახველთა ამ უწყვეტი ნაკადის საკადრისად მიღების მიზნით, საჭირო გახდა აეშენებინათ ახალი ეკლესია, რომელიც აღიჭურვებოდა ყველა საჭირო სერვისით. პრობლემას, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა ის, თუ როგორ უნდა შეესაბამებინათ ახალი ნაგებობის საჭირო ზომები უკვე არსებულთან.

ამასთან დაკავშირებით, 90-იანი წლების შუა ხანებში გამოცხადდა საერთაშორისო კონკურსი ფატიმის ახალი ეკლესიის პროექტისათვის. არჩევანი საკმაოდ ფრთხილად და რთულად გაკეთდა. კონკურსის გამარჯვებული გახდა **ბერძენი არქიტექტორი ალექსანდროს ტომბაზისი** (1939), მან წარმოადგინა ეკლესიის ძალზე ინოვაციური პროექტი, თუმცა ის სავსებით შეესაბამებოდა ამ წმიდა სავანის ატმოსფეროს. პროექტი მიზნად არ ისახავდა ადგილის

გადატვირთვას, ძლიერი მონუმენტურობის მიუხედავად, არქიტექტორმა გადაწყვიტა, ნაკლებად პომპეზური ახალი ნაგებობა უშენი ადგილის მარცხნივ განეთავსებინა, როგორც უკვე არსებული ბაზილიკის ეზოს გაგრძელება; ამ გადაწყვეტილებით, მოედანმა, სადაც ათწლეულების მანძილზე მთელი მსოფლიოს მომლოცველები მუხლს იდრეკდნენ, თავისი მთავარი მახასიათებლები და განსაკუთრებულობა შეინარჩუნა.

ახალი შენობა წრიული ფორმის და თეთრი ფერისაა, თეთრი ფერის ქვა, რომელიც მას ფარავს, ამავე რეგიონში მოიპოვება და ცნობილია როგორც ,,ზღვის თეთრი ფერი". ეს მართლაც შთამბეჭდავი ნაგებობა 125 მ დიამეტრისაა და ეყრდნობა ორ ჰორიზონტალურ სვეტს, რომელიც იჭერს მთელ სახურავს, ამით თავიდან იქნა აცილებული ტაძრის შიგნით სვეტების გამოყენება. ფატიმის უწმიდესი სამების ახალი ეკლესიის ფართობი თითქმის 130 000 კუბური მეტრია, საშუალო სიმაღლე - 15 მ, ცენტრალური ნავი დაახლოებით 8500 ადამიანს იტევს და, საჭიროების შემთხვევაში, მოძრავი კედლის საშუალებით ორ სექტორად შეიძლება დაიყოს. არქიტექტორმა ყველაფერი გაითვალისწინა, ასევე არის 76 ადგილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის.

წრიული ფორმა იმიტომ შეირჩა, რომ ის ქმნის მაქსიმალურ სივრცულ „ეფექტურობას", „სიახლოვის" განცდას და ერთგვარ შესაბამისობას შეკრების სხვადასხვა

წერტილსა და საკურთხევლის ადგილს შორის. ეკლესიაში შესვლისას ვხედავთ ორ კარნიზს, რომელიც ჰგავს ბილიკს, საკურთხევლისკენ რომ მიემართება. ამის შესახებ თავად არქიტექტორი წერდა: „ისინი მთელ კომპლექსს სამ ნაწილად ყოფენ, როგორც სამების სიმბოლოს". შენობას 13 კარი აქვს: 12 გვერდითი ბრინჯაოს კარი ეძღვნება მოციქულებს, ხოლო ცენტრალური კარი (64 კვ.მ.) - ქრისტეს. შენობის ქვედა სართულს ამშვენებს პანელი გალილეისა და წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა თემაზე.

ატრიუმში განთავსებულია ორი ,,წყლის სარკე", ერთი ეძღვნება ნათლისღებას (ზემოდან ჩამომავალი წყალი), მეორე კი - ქმნილებას (ამომავალი წყალი), და უკავშირდება სხვადასხვა სამლოცველოს, სააღმსარებლოსა და საკრისტიას. გარეთ 34 მეტრი სიმაღლის ბრინჯაოს ჯვარია აღმართული.

უწმიდესი სამების ტაძრის მშენებლობა დაიწყო 2003 წლის ბოლოს, როდესაც ჩაიდო პირველი ქვა, ნაწილი მოციქულ პეტრეს საფლავიდან, რომელიც პაპმა იოანე პავლე მეორემ უძღვნა ტაძარს. ახალი ტაძარი 2007 წლის 13 ოქტომბერს გაიხსნა. პროექტის

მშენებლობა 60 მილიონ ევროზე მეტი დაჯდა.

ბოლო წუთს, თითქმის მშენებლობის დასასრულს, მიღებული გადაწყვეტილებით გასაგები გახდა, რომ ეკლესიის დიდ ნავს აკლდა ძლიერი ვიზუალური და ემოციური მუხტი, რაც მორწმუნეებზე ზემოქმედებას მოახდენდა. აქ ჩაერთო მამა მარკო ივან რუპნიკი; მან პრესვიტერიუმში, საკურთხევლის უკან, კედელზე, დააპროექტა 500 კვადრატული მეტრი ფართობის მოოქროვილი ტერაკოტის პანელი, რომელიც წარმოადგენს ფატიმის მთავარ გზავნილს.

Portuguese eyes / Vítor Oliveira

შეუდარებელი მოზაიკა

ფატიმაში გამოცხადების ორი ელემენტი შთაგონების წყაროდ იქცა პრესვიტერიუმში მუშაობისთვის. პირველი, უდავოდ არის **აპოკალიფსური განზომილება**, რომელიც გადმოცემული და გამოცხადებული იყო ღვთის დიდი თანაგრძნობითა და სიყვარულით ადამიანების მიმართ, განსაკუთრებით ყველაზე სუსტების, ანუ ცოდვილების მიმართ. ამის გათვალისწინებით, მოზაიკის ლეიტმოტივი არის წმ. იოანეს „გამოცხადების“ 22-ე თავის დასაწყისი, სადაც მოედანი, რომლის შუაგულში დგას ღმრთისა და კრავის ტახტი, მთლიანად მოოქროვილია. მართლაც, მთელი ქალაქი ოქროსფერია. ოქრო ჯერ კიდევ პირველი პატრისტიკული ხანიდან მიიჩნეოდა სიმბოლოდ ღმერთის სიწმიდისა და ერთგულებისა, რომელიც ისევე მარადიულია, როგორც ნათელი. ამიტომაც მთელი პრესვიტერიუმი გარემოცულია სინათლით. მასალა - ტერაკოტა, რომელიც ოქროს ფირფიტებს იჭერს, ხელით იმგვარად არის ნაძერწი, რომ სინათლის არეკვლის მდიდარ სპექტრს ქმნის. განათებული კედელი წითელი ფერის სამ აქცენტს გამოკვეთს, რითაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს საიდუმლოსა და წმიდანობის აღქმას.

სინამდვილეში, უძველესი დროიდან, ოქროსთან ერთად, წითელი ფერიც წმიდა სამყაროზე მიანიშნებდა. მთელ ამ დინამიკას მორწმუნეთა გულები უნდა განემსჭვალა, სულიერად უნდა განეწყო ამ მშვენიერების აღსაქმელად და ღვთის სიყვარულის გასაზიარებლად.

ტახტისა და კრავის მარჯვნივ და მარცხნივ თითქოს წამიერად შეგიძლიათ დაინახოთ ზეციური იერუსალიმის პატარა ღია სივრცე, რომლის მიღმაც მრავალი ანგელოსი და წმიდანი ჩანს. კრავი ოქროსფერ ფონზეა გამოსახული, რამეთუ იგია ნათელი (შდრ. იოანე 1, 4). წმიდანები ფერთა ტონებშია შესრულებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ნათელში იმყოფებიან, ნათლისაგან არიან შობილნი, მაგრამ თავად როდი წარმოადგენენ ნათელს. მათ იღეს ნათელი, რამაც ისინი გაასხივო-





სნა და ამ სინათლეში შეიყვანა. ისინი ეზიარნენ ღმრთაებრივი ცხოვრების ძღვენს, მიიღეს ადამიანთა ნათელი.

ვინაიდან კედლის მხატვრული გაფორმება შეესაბამება ზეციური იერუსალიმის ძველ იკონოგრაფიულ ტრადიციას, ამიტომ კრავის მარჯვნივ ვხედავთ ღვთისმშობელს, რომელსაც უერთდებიან წმიდანები, ჟასინტა, ფრანციშკუ და ლუსია სავარდით ხელში. პირველ რიგში დგას ექვსი მოციქული და სამი მთავარანგელოზი. მათ უკან მრავალი წმიდანია, რომელთა შორისაც არიან ფრანცისკელები, წმიდა ფრანცისკე, წმიდა კიარასთან და წმიდა მამა პიოსთან ერთად.

წმიდანები ვლადიმირი და ოლგა ასევე წარმოდგენილნი არიან რუსეთში ქრისტიანული რწმენის სათავეში, ფატიმასა და ამ ქრისტიანერს შორის განსაკუთრებული კავშირის გამო. მეორე მხარეს გამოსახულია წმ. იოანე ნათლისმცემელი, ის, ვინც მიანიშნა ღვთის ძეზე როგორც კრავზე. მას მოსდევს დანარჩენი ექვსი მოციქული და ოთხი მთავარანგელოზი. მათ უკან ისევ წმიდანთა და ანგელოსთა გუნდი დგას. წმიდანთა შორის გამორჩეული სახეებია წმიდა ელისაბედ პორტუგალიელი და წმიდა ტერეზა კალკუტელი. მარცხნივ, ხარების ანგელოზი - მთავარანგელოზი გაბრიელია, ხოლო მარჯვნივ - საბოლოო განკითხვის მთავარანგელოზი, სასწორით ხელში. ტახტის ქვემოდან „ბროლივით კრიალა“ (გამოცხ. 22,1) წყალი მოედინება, ღმრთაებრივი სიცოცხლის წყალი, სიცოცხლის მდინარე ანუ სულიწმიდა, რომელიც მოიცავს მთელ ისტორიას და იჭრება მასში, აღწევს ყოველი კაცის გულში, სრულიად კოსმოსში, ლიტურგიისა და ეკლესიის საიდუმლოთა მეშვეობით, რაც ასევე აღევლინება ამ ტაძარში ქრისტეს პასექის მოსაგონებლად.

ტახტისა და წმიდანთა ჯგუფის მარჯვნივ და მარცხნივ სიცოცხლის ხეა, რომელიც რომელიც ყოველ თვეში იძლევა ნაყოფს, ხოლო ხის ფოთლები ხალხთა განსაკურნავადაა (შდრ. გამოცხ. 22, 2).

ფატიმის გამოცხადების მეორე ელემენტია **სამოთხის გაცნობა.** ჟასინტასა და ფრანციშკუს სამოთხეში მოხვედრის დაუოკებელი სურვილი აქვთ. ლუსია იმედგაცრუებულია, რადგან ზეცად ასვლა მაშინვე არ შეუძლია. სამოთხის გაცნობის ეს ასპექტი ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტად ურყევი ნიშანია, იმდენად, რამდენადაც ევქარისტიაში ხდება საყოველთაო, დროისა და სივრცის მიღმიერი შეკრება, ყოველი დროის ეკლესიისა და ყოველი ადგილის, რომელიც ზეციურ იერუსალიმშია, რათა „ალელუია“ იგალობონ კრავის ტახტის წინაშე (შდრ. გამოცხ. 19:1-7) ყველა წმიდანთან ერთად, ამქვეყნად მოვლინებულ უკანასკნელ ადამიანამდე. ამ ეკლესიაში ეს შეკრება სრულდება ხილულად, დღევანდელ მორწმუნეთა თანდასწრებით. საკურთხევლის უკან, რომელიც მსხვერპლშეწირვისა და ზიარების ადგილია, მზერას მივაპყრობთ უწმიდესის ტახტს, ცოდვისა და სიკვდილის დამთრგუნველ კრავს და წმიდანებს.

ამრიგად, გარკვეული თვალსაზრისით, ეს ეკლესია გვაყენებს იმ მდგომარეობაში, რომელშიც იყვნენ ფრანციშკუ, ჟასინტა და ლუსია: ისინი ცას ჭვრეტდნენ მიწიდან და ისტორიიდან. რატომ სურდა ფრანციშკუს სამოთხეში მოხვედრა, იმიტომ ხომ არა, რომ იქ ეგულებოდა ის, ვინც უყვარდა?

ტკბილი პური სან დამიანოდან

როგორც ამბობენ, ეს რეცეპტი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩამოიტანეს აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ბერებმა, რომლებიც თავდაპირველად ცხოვრობდნენ სენაკებში, წმიდა დამიანეს პატივსაცემად აგებული მცირე ტაძრის გვერდით. ძველად ამ პურს აცხობდნენ ადვენტის დროს და დიდმარხვის პირველ, ყველაზე ცივ თვეში. ტრადიცია ტკბილ პურს უკავშირებს ფრანცისკელთა სალოცავს, რომლის მახლობლადაც მას ღარიბებს ურიგებდნენ უწინ.

მოსამზადებლად საჭიროა შემდეგი ინგრედიენტები:



300 გრ. ფქვილი
30 გრ. საფუარი
100 გრ. შაქარი
2 კვერცხი
50 გრ. ქიშმიში
50 გრ. კედრის კაკალი
1 ჩაის კოვზი ანისული
1 სუფრის კოვზი
ზეთისხილის კარაქი
მწიკვი მარილი
1 კვერცხის ცილა

მომზადების წესი:

გახსენით საფუარი თბილ წყალში. დაყარეთ მაგიდაზე ფქვილი მთასავით, შუაში ჩააღრმავეთ და ფრთხილად ჩაასხათ საფუარი. აურიეთ, დაამატეთ შაქარი, კვერცხი, კარაქი და მარილი. ზილეთ ცომი დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში, სანამ ნარევი გლუვი და ერთგვაროვანი გახდება. შემდეგ მიეცით ფორმა და ჩადეთ ფქვილმოყრილ თასში. გადააფარეთ ტილო და დადგით თბილ ადგილას, რომ ცომი ამოვიდეს.

ისევ მოათავსეთ ცომი მაგიდაზე. კიდევ მოზილეთ, ამჯერად დაუმატეთ ქიშმიში, კედრის კაკალი და ანისულის მარცვლები. ზილეთ ცომი რამდენიმე წუთის განმავლობაში, შემდეგ კი მიეცით ოვალური ან მრგვალი ფორმა. მოათავსეთ ცხიმწასმული საცხობი ქაღალდით დაფარულ ტაფაზე. მოაყარეთ ფქვილი, დააფარეთ პირსახოცი და გააჩეროთ კიდევ ორი საათი.

გააცხელეთ ღუმელი 180 გრადუსამდე. გაუკეთეთ პურს რამდენიმე ზედაპირული ნაჭდევი, წაუსვით კვერცხის გული და გამოაცხეთ დაახლოებით 45 წუთის განმავლობაში.

სუფრასთან მიტანამდე პური უნდა გაცივდეს. ტკბილი პური სან დამიანოდან ძალიან გემრიელია ბრინზით (განსაკუთრებული წესით ამოყვანილი ცხვრის ყველი), ჯემითა და თაფლით.

 ვერიკო ნოზაძე

ნობელის პრემიის დამფუძნებლის, ალფრედ ნობელის შოკისმომგვრელი ისტორია და მისი გზა ღმერთამდე

ბევრმა იცის, რომ ალფრედ ნობელმა დააფუძნა ნობელის პრემია, მაგრამ ცოტას თუ სმენია მისი საინტერესო ცხოვრების შესახებ.

ალფრედ ნობელი დაიბადა 1833 წელს სტოკ-ჰოლმში, ინჟინრის ოჯახში. მამამისი, ემანუელ ნობელი, გვირაბებისა და ხიდების მშენებლობის სპეციალისტი იყო. როდესაც ალფრედი წამოიზ-არდა, იგი ძმებთან ერთად ჩაება მამის საოჯახო ბიზნესში.

იმ დროს მთიან ადგილებში გზების გასაყვანად გამოიყენებოდა ისეთი ასაფეთქებელი მოწყობი-ლობები, როგორიცაა ნიტროგლიცერინი და დენთი. მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ძა-ლიან რთული იყო ნიტროგლიცერინის ტრანსპორ-ტირება შორეულ ადგილებში, რადგან ის ძალიან მგრძნობიარეა თუნდაც მცირე რყევების მიმართ.

1864 წელს, იმ დროს, როცა მუშები ნობელის ქა-რხანაში ნიტროგლიცერინს ტვირთავდნენ, მოხდა აფეთქება, რომელმაც შეიწირა ექვსი ადამიანის, მათ შორის, ალფრედის ღვიძლი ძმის, ემილი ნო-ბელის სიცოცხლე. ამ უბედური შემთხვევის შემ-დეგ ახალგაზრდა ალფრედმა დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ გაეხადა ასაფეთქებელი მოწყობილობა უფრო უსაფრთხო, ძლიერი, მაგრამ, ამასთან, ისე რომ მისი ტრანსპორტირება ადვილი ყოფილიყო. და ვინაიდან გარკვეული ცოდნა ჰქონდა ქიმიის დარგში, მან მეცნიერული ცდების ჩატარება დაი-წყო. ერთხელაც, როდესაც ნიტროგლიცერინი შემ-თხვევით დაიღვარა დიატომიტზე (მთის დანალექი ქანი) და დაშრა, გამოვიდა საინტერესო ნარევი, რომლის ტრანსპორტირება ადვილი იყო, მაგრამ აფეთქების სიძლიერით არ ჩამოუვარდებოდა ნი-ტროგლიცერინს. დროთა განმავლობაში, ალფრედ ნობელმა ამ ნარევს რამდენიმე სხვა ნივთიერება დაუმატა და დააპატენტა ასაფეთქებელი მოწყობი-ლობა, რომელსაც თავდაპირველად ,,ნობელის უს-აფრთხო დენთი“ უწოდა. მოგვიანებით ალფრედმა გადაწყვიტა, თავისი გამოგონებისთვის ეწოდებინა ბერძნული სახელი ,,დინამიტი“, რაც აღნიშნავს ძალას. ეს ნივთიერება მყისვე გახდა პოპულარუ-ლი, რადგან მისი ადვილად მართვა და სხვადასხვა მიზნებისთვის გამოყენება იყო შესაძლებელი.

ძალიან მალე დინამიტის გამოგონებამ ალფრედს დიდება და დიდი ფული მოუტანა. თავდაპირვე-ლად დინამიტს იყენებდნენ მშვიდობიანი მიზნები-სთვის, ნაღმების ასაფეთქებლად, გზების გასაყ-ვანად და ძველი შენობების დასანგრევად, მაგრამ შემდეგ, როდესაც მისი ძალა და შესაძლებლობა დაინახეს, დაიწყეს მისი გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ალფრე-დი პაციფისტი იყო, დიდი ფულის შოვნის ცდუნე-ბამ იგი იქამდე მიიყვანა, რომ ააშენა 90 ქარხანა დინამიტისა და სხვა სახის ასაფეთქებელი იარაღის დასამზადებლად.

1888 წელს, როდესაც მისი ღვიძლი ძმა ლუდ-ვიგ ნობელი გარდაიცვალა, ერთმა ფრანგულმა გაზეთმა, ლუდვიგის ნაცვლად, ალფრედის შესახებ გამოაქვეყნა ნეკროლოგი სათაურით: „სიკვდილით

მოვაჭრე მკვდარია!“ („Le Marchand de la mort est mort!“). სტატიაში ავტორმა სასტიკად გააკრიტიკა ალფრედი დინამიტის გამოგონებისა და ამის შედეგად მრავალი ადამიანის დაღუპვის გამო. ავტორი აღშფოთებული იყო იმით, რომ ალფრედ ნობელი ზღაპრულად გამდიდრდა, რადგან მიაგნო გზას, თუ როგორ გაენადგურებინა უმოკლეს დროში ადამიანთა მაქსიმალური რაოდენობა... (საინტერესოა, რომ იმ დროს მცდარი ნეკროლოგი ძალიან ხშირად ქვეყნდებოდა ხოლმე. მაგალითად, ცნობილია მარკ ტვენის მიერ საკუთარი ნეკროლოგის შესახებ გაკეთებული კომენტარი: ,,ჭორები ჩემი სიკვდილის შესახებ ძალიან გაზვიადებულია“).

როდესაც ნობელმა ცნობილ გაზეთში დაბეჭდილი აღნიშნული სტატია წაიკითხა (ალფრედი მაშინ პარიზში ცხოვრობდა), ძალიან შეწუხდა და გადაწყვიტა, რომ სიკვდილის შემდეგ დაეტოვებინა სრულიად განსხვავებული მემკვიდრეობა! რათა იგი დამახსოვრებოდათ არა როგორც მძლავრი იარაღის გამომგონებელი, არამედ როგორც ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა დედამიწაზე მშვიდობის დამყარებას!

ასე რომ, 1895 წლის 27 ნოემბერს, პარიზის შვედურ კლუბში, ალფრედმა დაამტკიცა ნობელის პრემია და მთელი თავისი ქონების 94% გადასცა ახალ ფონდს. მაშინ ეს შეადგენდა 31 მილიონ შვედურ კრონს, რაც დღეს დაახლოებით 472 მილიონი აშშ დოლარია!

ასე დაარსდა მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ჯილდო - ნობელის პრემია.

დღეს ნობელის პრემია ყოველწლიურად გადაეცემა ადამიანებს, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ისეთ მეცნიერებებში, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია, ლიტერატურა, მედიცინა, ასევე დედამიწაზე მშვიდობის მიღწევაში. გამარჯვებულებს გადაეცემათ უზარმაზარი ოქროს მედალი ალფრედ ნობელის გამოსახულებით და ფულადი პრიზი, რომელიც 1,4 მილიონი დოლარის ეკვივალენტია!

ცნობილია, რომ ნობელის პრემიის დამტკიცებამდე, მილიონობით დოლარის ქონების მიუხედავად, ალფრედი დეპრესიით იტანჯებოდა. იგი არ დაქორწინებულა, არც ახლო მეგობრები ჰყავდა. მისი ერთადერთი მეგობარი იყო პარიზში პროტესტანტული ეკლესიის პასტორი, ნათან სოდერბლომი (Nathan Söderblom). სანდო ცნობებით, სწორედ პასტორმა ითამაშა დიდი როლი იმაში, რომ ალფრედი იარაღის მწარმოებლიდან ქველმოქმედად იქცა. პასტორმა ნათან სოდერბლომმა 1930 წელს თავად მიიღო ნობელის მშვიდობის პრემია. პასტორის ქადაგებების მოსმენით, აგრეთვე ეკლესიაში ხშირი სიარულით და ქველმოქმედებით, ალფრედის ემოციური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

შეიძლება დღეს 472 მილიონი დოლარი არ გაქვთ და პრესტიჟულ ჯილდოსაც ვერ დაამტკიცებთ, მაგრამ სხვებისთვის სიკეთის ქმნით შესაძლებელია ცხოვრებაში ნათელი კვალი დატოვოთ, ეს უდავოა. პასტორმა ჯონ მაქსველმა ერთხელ თქვა: ,,ადამიანის ცხოვრებაში ორი ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა: პირველი - როდესაც ის დაიბადა და მეორე - როდესაც გაიგო, რატომ...“



შვიდასი წლისთავი დანტე ალიგიერის დაბადებიდან

დასაწყისი ,,საბა“ № 01 (313) 2022

Le Epistole e l'Epistola XIII a Cangrande della Scala - **ეპისტოლეები და XIII ეპისტოლე კანგრანდე დელა სკალასადმი** - პოლიტიკური და რელიგიური მნიშვნელობისაა 13 ეპისტოლე, რომელიც დანტემ გაძევების წლებში დაწერა, წერილი, მიძღვნილი იტალიელი კარდინალებისადმი, რომლებსაც 1314 წელს პაპი კლემენტე V უნდა აერჩიათ, და XIII ეპისტოლე (1313-1320) კანგრანდე დელა სკალასადმი: მნიშვნელოვანია, რასაც ამ ვერონელ დიდგვაროვანს უძღვნის *„სამოთხით“*, და ასევე იმ მითითებებით, რაც *კომედიის* წაკითხვისას უნდა იყოს გათვალისწინებული: სუბიექტი (ანუ სიკვდილის შემდეგ სულების მდგომარეობა), გრძნობათა მრავალგვარობა, ტიტული (გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სევდიანად იწყება და მხიარულად სრულდება), ნაშრომი, რომელსაც მხოლოდ სპეკულარული ხასიათი არა აქვს, რადგანაც მიზნად ისახავს ადამიანთა დახსნას გასაჭირისგან და მათ გაბედნიერებას.

Le Egloghe - **ეკლოგი** - 1319-1321 წლებში რავენაში, ლათინურ ენაზე დაწერილი ბუკოლიკური (მწყემსური) ხასიათის ორი ნაწარმოები, ისინი ბოლონიელი ინტელექტუალის, ჯოვანი ვერგილიუსის მიმოწერების შემადგენელი ნაწილია, რომელთა სათაურებია Egloga I და Egloga III, მათ შორის, დანტესეული არის Egloga II და Egloga IV. დანტე ვულგარულად პასუხობს ჯოვანი ვერგილიუსს და არა ლათინურად, როგორც თავად ადრესატი იქცევა.

La Quaestio de aqua et terra - **წყლისა და მიწის**

საკითხი - ფილოსოფიური საუბრები კოსმოგრაფიაზე არისტოტელურ-პტოლომეური იდეების მიხედვით, რომლის შესახებაც დანტე 1320 წლის 20 იანვარს ვერონაში მართავდა დისკუსიებს, წმიდა ელენას ტაძარში (იმ დროისთვის, „სამოთხის“ შექმნის პროცესში, ეს საკითხი გამორჩეულად წარმოადგენდა კვლევის ობიექტს. დანტე მხარს უჭერს იმ იდეას, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრში მდებარეობს და გარს აკრავს სუბლუნარული სამყარო, რომელიც შედგება მიწის, წყლის, ჰერისა და ცეცხლისაგან, წყალი კი დედამიწის სფეროს ზემოთაა.

La Commedia - კომედია - თავდაპირველი სათაური, რომელსაც მოგვიანებით ბოკაჩომ დაუმატა ეპითეტი „ღვთაებრივი“, ფლორენციელი პოეტის შედევრია, იგი მიიჩნევა შუა საუკუნეების ლიტერატურის უთვალსაჩინოეს ნიმუშად, ასევე საყოველთაო ლიტერატურის ერთ-ერთ შედევრად. „კომედია“ იმიტომაც უწოდა, რომ დაწერილია „კომიკურ“ სტილში, ანუ არარეალისტური ფორმით. ერთ-ერთი ინტერპრეტაციით, პოემა იწყება მტკივნეული გარემოს აღწერით და სრულდება მშვიდობითა და ამაღლებული საღვთო ხილვით. დანტე 1300 წელს შეუდგა მასზე მუშაობას (საიუბილეო წელი, ამ წლის 7 აპრილით ათარიღებს იგი თავის მოგზაურობას „უსიერ ტყეში“) და მთელი ცხოვრების მანძილზე წერდა, გზადაგზა დასრულებულ საგალობლებს აქვეყნებდა. წყაროების მიხედვით, „ჯოჯოხეთი“ გამოქვეყნდა 1313 წელს, ხოლო „სალხინებელი“ ორი წლის შემდგომ. პოემა დაყოფილია სამ წიგნად ან საგალობლებად, თითოეული შედგება 33 საგალობლისგან (გარდა ჯოჯოხეთისა, რომელიც 34 საგალობელს შეიცავს, რადგან პირველი, ერთგვარად, მთელი პოემის წინასიტყვაობაა). პოემა დაწერილია სამხაზოვანი ტერცინებით (იგივე სტროფები, დანტესეული ტერცინები). კომედია რეალობის ღრმა დრამას წარმოგვიდგენს, რაც შორს არის შუასაუკუნეობრივი დიდაქტიკური პედანტური პოეზიისაგან, მასში გამოსჭვივის ახალი ქრისტიანული სულიერება, რომელიც პოეტის პოლიტიკურ ვნებებსა და ლიტერატურულ ინტერესებს ერწყმის. მოგვითხრობს წარმოსახვით მოგზაურობაზე იმქვეყნიური სამყაროს სამ სამეფოში, სადაც აირეკლება მიწიერი სამყაროს ავ-კარგი, რასაც მიუძღვის გონიერება (ვერგილიუსი) და თეოლოგიური (ბეატრიჩე) ან გამოცხადების ძალა. ჯაფითა და ურვით ცდილობს, გაითვალისწინოს ადამიანური მანკიერებანი (ჯოჯოხეთი), სწავლობს და იყენებს შესაფერის საშუალებებს, რათა გამოავლინოს ცუდი ძალა, რაც მას ცოდვაში აგდებს (სალხინებელი), იძენს ნათლობის სისპეტაკეს (მიწიერი სამოთხე); შემდეგ, გამოცხადების (ბეატრიჩე) ძალით სხივფენილი, ცდილობს, შეიცნოს ზებუნებრივი ძალები და, საბოლოოდ, განჭვრეტის შედეგად (წმიდა ბერნარდე და უწმიდესი ქალწული), დაფიქრდეს საღვთო საიდუმლოებებზე (სამოთხე). მოგზაურობა, რომელიც 23 მარტს დაიწყო ან, როგორც სხვები მიიჩნევენ, 1300 წლის 8 აპრილს, შვიდ დღეს გრძელდებოდა: ჯოჯოხეთისთვის ერთი დღე-ღამე; ერთი დღე-ღამე ჯოჯოხეთიდან სალხინებელში გადასასვლელად; სამი დღე და ღამე სალხინებლის მთაზე ასაღწევად; ალბათ, დღენახევარზე მეტი მიწიერ სამოთხეში და დანარჩენი ზეცაში და ზეციურ სამოთხეში გადასასვლელად, სადაც დრო ყველაზე ბუნდოვანია. გარდა ზნეობრივი ალეგორიისა, ღვთაებრივ კომედიაში, და განსაკუთრებით პირველ საგალობელში (სალხ. XXXII), პოლიტიკური ალეგორიაც იკვეთება; მანკიერებით მოცული საზოგადოება (უსიერი ტყე, სადაც სამი მხეცი ბინადრობს), გამოხსნას ელის პრინცისგან (ძაღლი), რომელიც თავიდან შექმნის წმიდა რომაულ იმპერიას და პაპებს სულიერების ორბიტისკენ გაუძღვება. დანტეს უსწორმასწორო და მტანჯველი გზა, რომელიც ნელ-ნელა მიემართება სალხინებლისკენ, კიდევ უფრო რთულდება და მეტაფორულად აჩვენებს ცნობილი ვულგარულის ენობრივი სიმწიფის რთულ პროცესს, ცდილობს, ფლორენციული ვულგარული სხვა იტალიურ ვულგარულ ვარიანტებზე ამაღლებულად წარმოაჩინოს და, ამავდროულად, მათთან ურთიერთობით გაამდიდროს. ამ რთულ გზაზე, ჯოჯოხეთშიც და სალხინებელშიც, დანტეს მეგზურობას უწევს თავისივე მასწავლებელი ვერგილიუსი, სამოთხეში - ბეატრიჩე, და ბოლოს - წმიდა ბერნარდე.

დანტეს ეს ნაშრომი ბოლოსთვის მოვიტოვე არა იმიტომ, რომ იგი პოეტმა ცხოვრების უკანასკნელ წლებში დაასრულა, არამედ როგორც მოწვევა, რომ პირველობა დავუთმოთ დანტეს ნაწარმოებთა კითხვას, როგორც ცხოვრების გაკვეთილს, გინდ მისი შინაარსის, გინდაც ფორმის გამო: ორივე თანაბრად შთამაგონებელია. როგორც პოეტი აცხადებს სალხინებლის XXIV თავის 53-54-ე მუხლებში: „(...) ასეთი ვარ, ამურის მიერ შთაგონებულსა ყურს მივუგდებ და ასე ვმღერი, და ჩემს გულისთქმას ამნაირად ვამცნობ სამყაროს“.

სტატიის წერის პროცესში, ინტერნეტში, ვიკიპედიასა თუ ენციკლოპედიაში, ხშირად მივმართავდი საძიებელ სიტყვას „დანტე ალიგიერი“. გარდა ამისა, მოვიძიე გამომც. Hoepli-Milano-ს მიერ 2006 წ. გამოცემული წიგნის შესავალი: „დანტე ალიგიერის ღვთაებრივი კომედია“ (,,La Divina Commedia di Dante Alighieri“).

დასასრული

შეზღუდული შესაძლებლობების დაძლევა შესაძლებელია საზოგადოებაში ინკლუზიის კულტურის განვითარების მეშვეობით

რომის პაპმა აუტიზმის მსოფლიო დღის წინა დღეს იტალიური აუტიზმის ფონდი მიიღო

2022 წლის 2 აპრილს რომის პაპმა ფრანცისკემ აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე იტალიის აუტიზმის ფონდის წევრები მიიღო. თავის გამოსვლაში მან ხაზი გაუსვა ინკლუზიის კულტურის აუცილებლობას, რომელიც შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ ცრურწმენებს აღმოფხვრის. აუტიზმის მქონე პირებმა, აუდიენციის შემდეგ, წმიდა პეტრეს მოედანზე ღარიბებისთვის სადილი მოამზადეს. **გთავაზობთ რომის პაპის სიტყვას**:

„ხვალ არის აუტიზმის ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღე, რომელიც დაწესებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, რათა მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიაპყროს აუტიზმის მქონე ადამიანებს და მათი მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტს.

გარიყვის კულტურის წინააღმდეგ

უპირველეს ყოვლისა, მინდა გამოვხატო მადლიერება იტალიის აუტიზმის ფონდის მიმართ მათ მიერ გაწეული სამუშაოსათვის. დღეს, როგორც არასდროს, საკითხები, რომლებზეც თქვენი ფონდი მუშაობს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ფაქტობრივად, კვლევითი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებით თქვენ შეგაქვთ ღირებული წვლილი მფლანგველობის კულტურის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ასე გავრცელებულია კონკურენციასა და მოგებაზე ორიენტირებულ ჩვენს საზოგადოებაში.

შშმ. პირთა ინკლუზია

ინკლუზიაში ჩართულობისა და საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის კულტურა გარიყვის კულტურის წინააღმდეგ. შეზღუდული შესაძლებლობა ყველა მის გამოვლინებაში წარმოადგენს გამოწვევას, რომელიც, ამავე დროს, გვაძლევს საშუალებას, ერთად ჩამოვაყალიბოთ უფრო ინკლუზიური და სამოქალაქო საზოგადოება, სადაც ოჯახის წევრები, მასწავლებლები და სოციალური გაერთიანებები საყოველთაო მხარდაჭერას მიიღებენ.

ჩვეულებისამებრ, ჩვენში სასიამოვნო გაკვირვებას იწვევს თითოეული ის შემთხვევა, როდესაც შშმ. პირები მუშაობისას მაღალ პროფესიონალიზმს ავლენენ. ამის კარგი მაგალითი ზოგი აქ დამსწრეთაგანია... ჩვენი მხარდაჭერა მათ ესაჭიროებათ არა მხოლოდ სამსახურებრივ სფეროში რეალიზებისთვის, არამედ ცხოვრების ყველა კომპონენტში, მაგალითად, თავიანთი „მოწოდების“ შესრულებაში. გავიხსენოთ მაგალითი წმიდა მარგარიტა დი კასტელოსი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა ქალისა, რომელმაც სიცოცხლე ღმერთს მიუძღვნა და მთელი თავისი ცხოვრება ლოცვასა და ღარიბებზე ზრუნვაში გაატარა.

ძვირფასო ძმანო და დანო, სახარების იგავი კეთილი სამარიტელის შესახებ გვიჩვენებს გზას უფრო დიდსულოვანი საზოგადოებისაკენ. და ამ გზაზე შშმ. პირი არა მხოლოდ მოვლის ობიექტი, არამედ სუბიექტიც უნდა იყოს. სამარიტელი შეიძლება იყოს შეზღუდული შესაძლებლობის, აუტიზმის მქონე ადამიანი, რომელიც ხდება მოყვასი სხვებისთვის და თავის ნიჭს საზოგადოების სამსახურში აყენებს.

ჩართულობა

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფიზიკური ბარიერების აღმოფხვრა, არამედ ასევე შშმ. პირთა აქტიური ჩართვა საზოგადოებრივი და საეკლესიო ცხოვრების ინიციატივებში. ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ კვლავ ვხედავთ ცრურწმენების, უთანასწორობისა და დისკრიმინაციის გამოვლინებებს. ვიმედოვნებ, სასურველი ცვლილებების დანერგვას თავად შშმ. პირებიც შეუწყობენ ხელს.

შეზღუდული შესაძლებლობა, ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობა

Covid-19-ის პანდემიამ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა, განსაკუთრებით ხანდაზმულებზე, შშმ. პირებსა და მათ ოჯახებზე. ახლა კი ამას უკრაინაში ომის ტრაგედიაც დაემატა: ძვირფასო ძმანო და დანო, ამ სიტუაციაში ჩვენი პასუხი უნდა იყოს სოლიდარობა, ურთიერთთანამშრომლობა, ლოცვა და ქველმოქმედება, რომელიც ყველა ჩვენგანის საქმეა. არ გავუშვათ ხელიდან ერთმანეთის მხარდაჭერის შესაძლებლობა.

სოლიდარული ეკონომიკა

ისევე, როგორც არსებობს გარიყვის კულტურა და ინკლუზიის კულტურა, არსებობს ეკონომიკა, რომელიც რიყავს და ეკონომიკა, რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიას. ჯერ კიდევ ახალ აღთქმაში, იერუსალიმის პირველი საკრებულოს მაგალითზე ვხვდებით იმგვარ ეკონომიკას, რომლის ცენტრშიც არა ეგოიზმი, არა პირადი მოგება, არამედ ძმური კავშირი დგას.

სოლიდარობის ჟესტი

ძვირფასო ძმანო და დანო, ჩვენ დიდი განსაცდელების ეპოქაში ვცხოვრობთ, მაგრამ მოახლოებული უფლის აღდგომა გვახსენებს, რომ სიკვდილს ბოლო სიტყვა არ ეკუთვნის ჩვენს ყველაზე დაუცველ ძმებთან და დებთან ერთად შევინარჩუნოთ იმედის ჩირაღდანი! მოგიწოდებთ, გააგრძელოთ თქვენი საქმიანობა აუტიზმის მქონე პირთა საკეთილდღეოდ, არა მხოლოდ მათთვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მათთან ერთად. სულ მალე, აუტიზმის მქონე პირები გაჭირვებულებს თავისი ხელით გამზადებულ სადილს მიართმევენ. ეს უმშვენიერესი ინიციატივაა, რომელიც გვიჩვენებს კეთილი სამარიტელისა და აგრეთვე უფლის მიერ გაკვალულ გზას. როგორია უფლის მიერ გაკვალული გზა? სიახლოვე, თანაგრძნობა, სინაზე. ამ სამ მახასიათებელში ჩვენ ვხედავთ ღმერთის სახეს, ღმერთის გულს, ღმერთის გზას. გულით გაკურთხებთ! გფარავდეთ ღვთისმშობელი, რადგან ის დედაა, რომელსაც ყველაფერი ესმის ჩვენზე უკეთესადაც კი. და ძალიან გთხოვთ, არ დაგავიწყდეთ, მომიხსენიოთ თქვენს ლოცვებში. მადლობა!“

 შორენა პარუნაშვილი

მე და ღმერთი

დედა, რამდენი წლისაა ღმერთი? - მკითხა ჩემმა 5 წლის შვილმა რამდენიმე დღის წინ, იმდენად მოულოდნელად, რომ დავიბენი. მოულოდნელი იყო, რადგან საერთოდ არ ვსაუბრობდით ამ თემაზე. ღმერთს ასაკი არ აქვს მეთქი, ვუთხარი და გაოცდა, როგორ, დაბადების დღე არა აქვსო? მივხვდი, არასწორად ვუპასუხე, ამიტომ დავუზუსტე, იესო ქრისტე 2022 წლისაა და მისი დაბადების დღე 25 დეკემბერსაა მეთქი. დამშვიდდა და განაგრძო თამაში.

ღმერთის შესახებ კითხვები გამოწვევის წინაშე გვაყენებს განსაკუთრებით მშობლებს. მიუხედავად იმისა, რომ ვიცით კითხვაზე პასუხი, რთულია ისე ავუხსნათ ბავშვებს, მეტ-ნაკლებად დავაკმაყოფილოთ მათი ინტერესი და, ამასთან, ჩვენი პასუხი იყოს რეალური. არსებობს შეკითხვები, რომლებზეც პასუხები შეიძლება არც კი გვქონდეს... რა თქმა უნდა, სწორი პასუხების მოძებნაში გვეხმარებიან ეკლესიაში მოღვაწე მღვდლები და კატეხისტებიც. თუმცა, ღმერთის შესახებ შვილების ინფორმირებაში უდიდესი პასუხისმგებლობა მშობლებს გვეკისრება. გარემო, რომელშიც ბავშვი იზრდება, დიდწილად მოქმედებს ბავშვის წარმოდგენის უნარის ჩამოყალიბებაში, მათ შორის, მათ წარმოდგენაზე ღმერთის შესახებ.

საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ ჩვენს შვილებს ღმერთი?

ჩვენო პატარა მკითხველებო, როგორია თქვენი ღმერთი? მოგვწერეთ ელფოსტაზე: jurnali.saba@gmail.com

2022 წლის 9 აპრილს იტალიასა და ინდოეთში აღინიშნა ფრანცისკელი ბერების, თომას, იაკობის, პეტრესა და დემეტრეს თანაში მოწამეობის 701 წლისთავი.

ISSN 2720-8001

საბა

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური ბიულეტენი
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA

ფასდაკლების ტიპოგრაფია: ს. ყანჩელი ბრეგვაძე CSS
ბეჭდვითი კომპანია: ნეტარ ბარნაბელიძე, კერესი ნიბანე, მიხეილ ბარგაშვილი, ზურაბ ლაცანაძე, ეფიმი ხიდარიშვილი
ფასდაკლების ტიპოგრაფია: ზეგა, მიხეილ ხერხეული, ოანარ ფეფანიძე
ბიულეტენი „საბა“ რეგისტრირებულია, ეროვნული ბიბლიოთეკა, №4, 2025, ინფორმაცია ბიულეტენის
E-mail: sabajournal@gmail.com; რეგისტრაციის №853, ფასიანი ბეჭდვა ლიცენზირებულია ბიბლ. 1995 წელს, © „საბა“